სასამართლო
ექსპერტიზის
ეროვნული ბიურო

წლიური ანგარიში 2022 წელი

მამუკა ჯანგულაშვილი

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო კოლეგებო. სასამართლო ექსპერტის პროფესია საპასუხისმგებლო და რთული პროფესიაა. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია ბიუროს წვლილი გამოძიების პროცესში და ასევე, დანაშაულთან ბრძოლაში სადაც, სასამართლო ექსპერტიზა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბიუროს ექსპერტების თავდაუზოგავი შრომის შედეგად, სამართალდამცავ უწყებებთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, არაერთი მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმე გაიხსნა. წლის განმავლობაში, საშუალოდ ასი ათასზე მეტი ექსპერტიზა სრულდება ბიუროში. ეს ძალიან დიდი შრომის შედეგია.

თუმცა, ჩვენთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა რიგითი მოქალაქეებისთვის სათანადო მომსახურების გაწევა და მათი მოთხოვნების შესაბამისი სერვისების მიწოდება, ასევე ექსპერტების სამუშაო პირობების გაუმჯობესება, პროფესიული განვითარება. სწორედ ამ მიმართულებით, 2022 წელს, არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე განვახორციელეთ.

2021 წელს მიღებული საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ბიურომ განახორციელა რებრედინგი და სახელმწიფო სიმბოლიკის სავალდებულო, კანონით დადგენილი ნორმებით, შეიქმნა ბიუროს ახალი სიმბოლო და შესაბამისად ნაწილობრივ უკვე შეიცვალა ბიუროს საიმიჯო იერსახე. მომავალ წელს აღნიშნული პროცესი მთლიანად დასრულდება.
მოძველებული და თითქმის ამორტიზებული იყო ბიუროს ავტოპარკი, რაც მნიშვნელოვან შეფერხებებს იწვევდა ექსპერტიზების წარმოების პროცესში. მიმდინარე წელს განახლდა ავტოპარკის ნაწილი და დაგეგმილია დანარჩენის განახლებაც.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ექსპერტების პროფესიული ზრდის მიზნით, ბიუროს შესაბამისმა სამსახურებმა გაიარეს ტრენინგები შშმ პირების, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების და ქალების ექსპერტიზის ჩატარების და მომსახურების თანამედროვე სტანდარტების პრაქტიკაში განხორციელების კუთხით.
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირათა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის მიხედვით, ცენტრალური ოფისის ინფრასტრუქტურა სულიად ადაპტირდა ეტლით მოსარგებლე პირთათვის. ახალი წლიდან ჩვენი სერვისების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უსინათლო მოქალაქეებისთვის. ამ მიმართულებით 2023 წელს ვგეგმავთ რეგიონულ ოფისებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ასევე, სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფას ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის.

დასრულებულია პროექტირების პროცესი ბიუროს ინფრასტრუქტურის განახლების და მშენებლობის მიმართულებით. მომავალ წელს მთლიანად განახლდება კახეთის სამედიცინო განყოფილების შენობა ქ. გურჯაანში, რითიც გავაუმჯობესებთ თანამშრომლების სამუშაო გარემოს და მოქალაქეთა მისაღებს. შენობა ადაპტირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უმნიშვნელოვანესია ბიუროსთვის. ამდენად, წელს ვუზრუნველყავით თანამშრომლების ჯამრთელობის დაზღვევა, რაც მომავალ წელსაც გაგრძელდება.
ასევე, ექსპერტების სამუშაო პირობების გაუმჯობესების, ლაბორატორიების განახლების და ახალი შესაძლებელობების გაჩენის მიზნით, 2023 წელს ვიწყებთ თბილისის ცენტრალური ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე საოფისე შენობის მშენებლობას. აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემს, ღირსეულ პირობებში იმუშაონ თანამშომლებმა, განვავითაროთ ლაბორატორიები და შესაბამისად საექსპერტო მიმართულებები.

დავნერგეთ გადახდის ახალი სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად მოაწესრიგა ბიუროში ფინანსური კუთხით არსებული პრობლემები. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება და დაგეგმილია ბიუროს მომსახურების წინასწარი გადახდის სისტემის შემუშავება, რაც ასევე გაზრდის მომხმარებლის კმაყოფილების ხარისხს და ბიუროს შესაბამისი სამსახურების საქმიანობის ეფექტურობას.

მრავალი წელია არ შეცვლილა ბიუროს მომსახურების ტარიფები და ამ მიმართულებთაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა ექსპერტიზაში გადახდილი თანხა შესაბამისი იყოს იმ შრომის, რომელსაც ბიუროს თითოეული თანამშრომელი ეწევა ყოველდღიურად საქმიანობის პროცესში.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დღეს წარმატებული საექსპერტო დაწესებულებაა და ეს აქ დასაქმებული თითოეული ადამიანის დაუღალავი შრომის შედეგია. სამომავლოდ ბიუროს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გეგმები გვაქვს განსახორციელებელი. დარწმუნებული ვარ კიდევ უფრო დიდ წარმატებას მივაღწევთ ჩვენი და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

სასამართლო
ექსპერტიზის
ეროვნული ბიურო

ბიუროს შესახებ

ბიუროს მისია

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანს წარმოადგენს მეცნიერებაზე დაფუძნებული, კვალიფიციური საექსპერტო მომსახურების გაწევა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ემყარება ხარისხისა და ანალიტიკური საქმიანობის მუდმივი განვითარების კონცეფციას. ბიუროს მიზანია საექსპერტო კვლევებისათვის გამოიყენოს საყოველთაოდ აღიარებული და დანერგილი სამეცნიერო ტექნოლოგიები, ჩაატაროს მაღალკვალიფიციური ექსპერტიზები და მუდმივად გააუმჯობესოს და განავითაროს საკუთარი მომსახურება. საქმიანობიდან გამომდინარე, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების და სამართალწარმოების პროცესს.

ბიუროს ფუნქციები

- სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის, დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;
- სასამართლო-საექსპერტო მომსახურების განხორციელება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;
- სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის განხორციელება, ახალი მეთოდების დანერგვა და გამოკვლევათა მეთოდიკების სრულყოფა;
- საქართველოს და საერთაშორისო სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- დაქტილოსკოპიური, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების წარმოება;
- ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემა სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე;
- მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ბიურო უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს

- ❑ ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ❑ ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- ❑ სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
- ❑ რადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- ❑ დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა;
- ❑ სასაქონლო ექსპერტიზა;
- ❑ ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- ❑ საინჟინრო ექსპერტიზა;
- ❑ ნავთობ- პროდუქტების ექსპერტიზა;
- ❑ კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ❑ ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ❑ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ❑ ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ❑ ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზა;
- ❑ სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირების და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური, ჰისტოლოგიური ექსპერტიზა);
- ❑ ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური და სხვ);
- ❑ ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- ❑ კომპიუტერული ექსპერტიზა;
- ❑ ბიურო უფლება მოსილია კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სხვა სახის ექსპერტიზებიც.

შემაჯამებელი მიმოხილვა

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში შეესაბამება “საჯარო სამართლის იურიდიული პირის– ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #255 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას და მოიცავს 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების და განხორციელბული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ ინფორმაციას.

- 2022 წლის ანგარიშის შედგენაში მონაწილეობა მიიღო ბიუროს ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა და დეტალურად არის აღწერილი ბიუროს საქმიანობის სფეროები, თითოეული სამსახურის მიერ განხორციელებული და დანერგილი სიახლეები და ბიუროში გატარებული რეფორმები.

- 2022 წლის სამოქმედო გეგმით განხორციელებული აქტივობებს საფუძვლად უდევს ბიუროს 2020 -2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა

➢ ბიუროს ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის განვითარება მთელი ქვეყნის მასშტაბით;

➢ ბიუროს მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისი სერვისი

➢ ბიუროს თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

მაღალკვალიფიციური კადრები

მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისი მომსახურება

საერთაშორისო სტანდარტის განახლებული ინფრასტრუქტურა

2022 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი სიახლეები

ბიუროს უფროსის მრჩევლის ინიციატივით 2022 წელს ბიუროს მომხმარებლისთვის განხორციელდა საანგარიშსწორებო წესის ცვლილება. დაინერგა მრავალფუნქციური, სწრაფი და მოქნილი საგადამხდელო პლატფორმის ბილინგის სისტემა.

აღნიშნული სისტემით, კერძო სექტორის მომხმარებლისთვის, შესაძლებელი გახდა საექსპერტო კვლევის საფასურის გადახდა, როგორც კომერციული ბანკების დისტანციური სერვისების (ინტერნეტ და მობაილ ბანკის აპლიკაციები), ასევე სხვადასხვა საგადამხდელო ვებ-გვერდების და სწრაფი გადახდის ტერმინალების საშუალებით.

საბილინგე სისტემის მეშვეობით, ასევე მოქნილი გახდა საექსპერტო მომსახურების გადახდა საჯარო სექტორისთვის. კერძოდ, „საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში“ ჩაშენებული „ბილინგური სისტემის საშუალებით.

2022 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი სიახლეები

საბილინგე სისტემის დანერგვით მოდერნიზდა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი გახდა საგადამხდელო სისტემებთან დაკავშირებული პროცედურები.

კერძოდ :

- ✓ საექსპერტო დასკვნის აღებისას, მომხმარებელს მოეხსნა გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის, შესაბამისად საქმისწარმოების სამმართველოს ქვითრის მატერიალურად შენახვის და აღრიცხვის ვალდებულება;

- ✓ საბილინგე სისტემით გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია, გადახდისთანავე ავტომატურად ისახება ბიუროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს მომსახურების პროცესს და აზღვევს საოპერაციო რისკებს



- ✓ დანერგილი სისტემის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიუროს მიმართ დავალიანებების იდენტიფიცირების პროცესი და შემცირდა დებიტორთა წარმოშობის რისკები.

2022 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი სიახლეები

საბუღალტრო პროგრამაში-“ორის ბუღალტერია 5 (ვერსია 7.0.0.7366) პროცესების ავტომატიზაციისთვის 2022 წელს გატარებული ღონისძიებების შედეგად

- რეალიზაციის მონაცემების დამუშავებისას, მოსამზადებელი „ექსელის“ ფაილების რიცხვი შემცირდა **ოცდარვიდან ოთხამდე, ხოლო სამუშაო დრო 30 სამუშაო დღიდან 2 დღემდე;**

- ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვისას, ახალი საანგარიშსწორებო სისტემისა და „ორის ბუღალტერიაში“ ლოგიკის შეცვლის ფონზე, გაურკვეველი ჩარიცხვების რიცხვი შემცირდა **რვაასიდან ნულამდე, ხოლო გასაწევი საქმიანობისთვის საჭირო დრო 21 დღიდან 3 დღემდე.**

- შრომის ანაზღაურების აღრიცხვისას, პროგრამული ცვლილებების ფონზე, „გამომუშავებადი“ ხელფასის „ორის ბუღალტერიაში“ ასახვა და იგივე ხელფასის გადარიცხვა „ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემიდან“ გახდა ავტომატური პროცესი, რის შედეგადაც ბუღალტრული გატარებების რიცხვი შემცირდა **ექვსასიდან ნულამდე, ხოლო სამუშაო დრო 3 დღიდან 1 დღემდე**

აღნიშნული პროგრამული და ბიზნეს პროცესების ცვლილებების ფონზე, რომელიც განხორციელდა 2022 წელს ფინანსური აღრიცხვის სამმართველოში, წლიურად გასატარებელი ტრანზაქციების რაოდენობა შემცირდა დაახლოების 16 800 -ით

2023 წელს, წლიურად გასატარებელი ტრანზაქციების რაოდენობის შემცირების (დაახლოებით 24 000 გატარებით) მიზნით ფინანსური აღრიცხვის სამმართველოში იგეგმება

- მარაგების აღრიცხვა/ჩამოწერის ავტომატიზაცია
- ხარჯების აღრიცხვის ავტომატიზაცია

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უშუალო მონაწილეობით, მიმდინარე წელს ბიუროს სერვისების გაუმჯობესების მიზნით, არა ერთი მნინშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი შეიქმნა. მათ შორის

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების ხარისხის სტანდარტი
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სერვის ცენტრებში მომსახურების ხარისხის სტანდარტი
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების ხარისხის სტანდარტი

2022 წელს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ მომზადდა

საქმისწარმოება

- საქმისწარმოების პროცედურების სახელმძღვანელოს პროექტი, რომელიც 2023 წელს დასრულდება;
- შემუშავდა და განხილვის პროცესშია ბიუროს საქმეთა ნომეკლატურის შედგენა;
- გაფართოვდა და სტანდარტის შეაბამისად აღიჭურვა ბიუროს სათაო ოფისის ნივთმტკიცებათა საცავი;
- განხორციელდა საცავში არსებული ნივთმტკიცებების ინვენტარიზაცია;

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

- საქმისწარმოების სამმართველოს მიერ 2022 წლის განმავლობაში დაარქივდა **41 990 დოკუმენტი**
- მთელი წლის განმავლობაში საქმისწარმოების მიმართულებით დამუშავდა **147 500 დოკუმენტი**

საკადრო უზრუნველყოფა და დასაქმება

2022 წლის განმავლობაში ბიუროს საჯარო სამსახურის ვებ-გვერდის www.hr.gov.ge მეშვეობით ბიუროს სხვადასხვა დეპარტამენტში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის შედეგად შეირჩა და დაინიშნა 28 პირი.

ამ ეტაპზე სულ დასაქმებულია 497; შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე 324 პირი, ხოლო შტატგარეშე პოზიციაზე - 173 . მათ შორის გენდერულ ჭრილში 239 ქალი და 258 მამაკაცი



საკადრო ადმინისტრირების მიმართულებით

- დაკისრებული მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის წახალისდა 457
- ბიუროს 10 თანამშომლის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინარული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა

სტაჟირება

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ბიუროს სხვადასხვა დეპარტამენტებში სტაჟირება გაიარა 7 პირმა, 2022 წლის განმავლობაში ბიუროში სტაჟირებას გადიოდა 29 პირი

ექსპერტიზის ბიურო ზრუნავს მომავალი თაობის დასაქმებაზე და მათთვის ბიუროში დასაქმებული ექსპერტების მიერ მრავალწლიანი გამოცდილების და ცოდნის გაზიარებაზე. ამ მიზნით ადამიანური რესურსების სამმართველო აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა დასაქმების ფორუმებში.

ადმინისტრაციული დეპარტამენტი
სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულებით

- სამოქალაქო რეესტრთან იურიდიული სამმართველოს ურთიერთანამშრომლობით მომზადდა და გაფორმდა ხელშეკრულება, რისი საშუალებითაც ბიუროს შესაძლებლობა აქვს კომპეტენციის ფარგლებში წვდომა ჰქონდეს სამოქალაქო რეესტრის ბაზებთან.

მთელი წლის განმავლობაში იურიდიული სამმართველოს მიერ მომზადდა ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტები

- ხელშეკრულების პროექტები;
- ბიუროს წინადადებების და შენიშვნების საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები;
- მემორანდუმების პროექტები;
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;
- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;

საერთო სასამართლოში ბიუროს მიერ წარდგენილ იქნა 215 სარჩელი. მათ შორის:

- ✓ ბიუროს სასარგებლოდ დასრულდა 110 სარჩელი;
- ✓ სასამართლო წარმოებაშია 105 სარჩელი;
- ✓ სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა 1 სარჩელი;

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

2022 წლის მანძილზე საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით მომზადდა 1679 წერილი

- ✓ სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია ბიუროს სერვისებით მოსარგებლე 700 -მდე პირს;
- ✓ იურიდიული სამმართველოს თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში სამართლებრივ კონსულტაციას უწევენ, ბიუროს ექსპერტებს და თანამშრომლებს.

2022 წლის მანძილზე, ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ბიუროს სხვა დეპარტამენტებთან ერთად კოორდინაციაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. მათ შორის:

- ❖ ეკონომიკურ დეპარტამენტთან ერთად, სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფა გაუწია ბიუროს მომსახურების ახალი ტარიფების მიღებისა და დამტკიცების პროცესს;
- ❖ ეკონომიკურ დეპარტამენტთან ერთად მომზადდა ბიუროს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი;
- ❖ ბიუროს მენეჯმენტთან და ეკონომიკურ დეპარტამენტთან ერთად განახორციელა ბიუროს საიმიჯო პროდუქციის რებრენდინგი;
- ❖ ბიუროს მენეჯმენტთან და ეკონომიკურ დეპარტამენტთან კოორდინაციით ორგანიზება გაუწია ბიუროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს;

ადმინისტრაციული დეპარტამენტი
საზოგადოებასთან ურთიერთობა

წინა წლების მსგავსად 2022 წელსაც, ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ბიუროს ონლაინ პლატფორმის, ასევე ქვეყანაში მოქმედი საინფორმაციო წყაროების საშუალებით, ოპერატიულად აწვდიდა მომხმარებელს ინფორმაციას, ბიუროში დაგეგმილი სიახლეებისა და განხორციელებული პროექტების შესახებ.

2022 წლის განმავლობაში, დაინტერესებული პირებისთვის პროაქტიულად მუშობდა ბიუროს სოციალური ქსელი და ცხელი ხაზი. მთელი წლის განმავლობაში 15 000 ზე მეტ პირზე გაიცა საჯარო ინფორმაცია. მათ შორის, ფიზიკურ, სასამართლო, საგამოძიებო, საჯარო და კერძო სტრუქტრების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე.

ბიუროს მომსახურების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ორგანიზებით, ბიუროს თბილისის და რეგიონული დეპარტამენტების სერვის ცენტრის, ცხელი ხაზის, იურიდიული და სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები:

- ✓ გაეროს და სახალხო დამცველის ერთობლივი ონლაინ ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ (2022 წლის მაისი);
- ✓ ფინანსთა სამინისტროს აკადამიის ტრენინგი სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებში (2022 წლის მაისი/ივნისი/ივლისი).

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

- ✓ ბიუროში გადახდის საბილინგე სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგი (2022 წლის მაისი)

მთელი წლის განმავლობაში, ბიურომ, საქმიანობის გაცნობის მიზნით, უმასპინძლა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და კერძო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უშუალო ორგანიზებით 4 ნოემბერს, ექსპერტიზის დღეს, ჩატარდა წარმატებული ექსპერტების დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც ბიუროს უფროსმა სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებს სამახსოვრო ჯილდოები გადასცა.

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

2022 წელს, სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებმა ბიუროს საქმიანობის შესახებ, არა ერთ საინფორმაციო გადაცემაში მიიღეს მონაწილეობა, სადაც ბიუროს საქმიანობაზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს საზოგადოებას.



სოციალური პასუისმგებლობა

ბიურო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს სოლიდარობის ფონდთან. 2022 წელს ბიუროს თანამშრომლების მხრიდან ფონდში გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 20 935 ლარი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

2022 წელს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა ბიუროს პოზიცია წარადგინა შემდეგ უწყებათაშორის ჯგუფებში:

- საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო;
- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭო;
- საქართველოს კიბერუსაბრთხოების ეროვნულ სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფი;
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
- ადამიანთა წამების, არაჰუმანური სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო

ეკონომიკური დეპარტამენტი

2022 წელს ეკონომიკური დეპარტამენტის გუნდმა არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და მატერიალურ -ტექნიკური პროექტი განახორციელა.

წლიური ბიუჯეტი განისაზღვრა **34 300 000, 00** ლარის ოდენობით, მათ შორის საკუთარმა სახსრებმა შეადგინა **23 000 000,00** ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან განისაზღვრა **11 300 000,00** ლარი.

ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ამავე წლის ოქტომბრის თვეში ასიგნებები გაიზარდა 1 300 000 ლარით.

2022 წლის ბიუჯეტი 34 300 000,00 ლარი

საკუთარი სახსრები 23 000 000,00 ლარი

საბიუჯეტი სახსრები 11 300 000 ლარი

ეკონომიკური დეპარტამენტი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმით განისაზღვრა **10 772 000, 00** ლარი. მათ შორის, საკუთარი სახსრებით **6 641 900, 00** ლარი, ხოლო საბიუჯეტო სახსრებით **4 020 100, 00** ლარი.

მთელი წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვები

დასახელება	დადებული ხელშეკრულების რაოდენობა	დადებული ხელშეკრულების ჯამური რაოდენობა
ელ. ტენდერის საშუალებით	**134**	**5 069 933, 80**
კონს. ტენდერის საშუალებით	61	**1 590 669, 46**
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით	294	**1 187 416, 50**
GEO ტენდერის საშუალებით	3	1 849 496, 20
სულ	492	**9 698 087,66**

2022 წლის მანძილზე ბიუროს მიერ გაწეული მომასახურების ღირებულებამ შეადგინა **67 320 000,05** ლარზე მეტი. მათ შორის ანაზღაურებადი მომსახურება **23 817 872,82** ლარი, ხოლო არაანაზღაურებადი მომახურება **43 504 070, 23** ლარი;



ეკონომიკური დეპარტამენტი
2022 წელს განხორციელებული პროექტები

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში, დებულებაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რის საფუძველზეც, განხორციელდა თანამშრომლების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა.

- 2022 წელს გადაიხედა საქართველოს მთავრობის მიერ ბიუროსთვის 2012 წელს დამტკიცებული მომსახურების ტარიფების შინაარსობრივი და ფინასური ნაწილი, რომელიც ბიუროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტთან ერთად და საექსპერტო დეპარტამენტებთან კოორდინაციით განახლდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ.

- ჰერალდიკის სამსახურის მიერ დამტკიცდა ბიუროს ახალი ემბლემა, რის საფუძველზეც ეკონომიკური და ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ბიუროს საიმიჯო პროდუქციის რებრენდინგი.

ეკონომიკური დეპარტამენტი

- ექსპერტიზის შესრულების დროს, შეუფერხებლად და ოპერატიულად გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, განახლდა ბიუროს ავტოპარკი 6 მაღალი გამავლობისა და 18 მსუბუქი ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებით;

- ახალი ემბლემის მიხედვით მიმდინარეობს მანათობელი და მანიშნებელი აბრების ტექნიკურ დოკუმენტაციაზე მუშაობა;

- დასრულდა ბიუროს სათაო ოფისის ნივთმტიცებების საცავის სარეკონსტრუქციო სარემონტო სამუშაოები;



- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტს;

- ბიუროს ქუთაისის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში მიმდინარეობს შენობის სარემონტო სამუშაოები, ხოლო ეზოში მოეწყო საპარკინგე ზონა;

- ბიუროს ოფისებში სახანძრო უსაფრთხოების არსებული ქსელის სარეაბილიტაციო და ახალი სიტემების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა.

ეკონომიკური დეპარტამენტი

- **საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის** შეძენილ იქნა
  - „LIRA“-ს პროგრამის ოფიციალური მხარდაჭერა, განახლებამდე.
  - გეოდეზიური ექსპერტიზისთვის საჭირო, სპეციალური პროგრამით აღჭურვილი დრონი;

- **ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის** შეძენილ იქნა მაღალი ხარისხის, სინათლის შესადარებელი და სტერეო მიკროსკოპები.



- **ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის** შეძენილ იქნა მაღალი ხარისხის, სხვადასხვა ტიპის პლაზმური ჯაჭვური რეაქციის მოწყობილობები;

- **საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარატმენტისთვის** შეძენილ იქნა ე.წ. ჭკვიანი მართვადი კომუტატორების (სვიჩების) და საექსპერტო კვლევებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფების 1 წლიანი ლოცენზიები, ქსელის უსაფრთხოებისთვის საჭირო გარე და შიდა დაცვითი სისტემები, შესანახი მასივი (ე.წ. BackUp-ი), პრინტერები, პორტატული კომპიუტერები და სხვა საჭირო მოწყობილობა;

- **კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის** შეძენილ იქნა სადიაგნოსტიკო, შესამოწმებელი და საკონტროლო აპარატურა, სამუშაო იარაღების ნაკრები და სხვა.

ეკონომიკური დეპარტამენტი

2022-2023 წლებში განხორციელდება ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული განყოფილების სრული რეაბილიტაცია, რომელიც მთლიანად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.



საექსპერტო ლაბორატორიების გაფართოების და ექსპერტებისთვის საერთაშორისო სტანდარტის სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავდა ახალი შენობის კონცეფცია. განხორციელდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და წარედგინა თბილისის მერიის მუნიციპალიტეტს მშენებლობის ნებართვის მისაღებად;

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

2022 წელს ხარისხის კონტროლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, ბიუროს საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით, არა ერთი წარმატებული ღონისძიება განხორციელდა.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობით, ბიუროს საექსპერტო ლაბორატორიებმა წარმატებით გაიარეს აკრედიტაციის ყოველწლიური მონიტორინგი, საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17025:2018 მოთხოვნის შესაბამისად.

მიმდინარე წელს, ასევე დეპარტამენტის ორგანიზებით, ხარისხის კონტროლის მიმართულებით, ბიუროს ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI)-ის სამუშაო ჯგუფების ეგიდით, ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების საექსპერტო დაწესებულებების მიერ ჩატარებულ ლაბორატორიათშორის პროფესიულ ტესტირებებში, სადაც საუკეთესო შედეგები აჩვენეს და კვლევის უახლესი მეთოდები და საერთაშორისო გამოცდილება გაიზიარეს.

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

ხარისხის სისტემა უზრუნველყოფს ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მუდმივი განვითარება ორგანიზაციული მართვის თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ. უწყვეტი განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ბიუროს ხარისხის მენეჯერებმა მონაწილეობა მიიღეს:

- ❑ ამერიკის სასამართლო ექსპერტიზის ხარისხის მენეჯერების ასოციაციის (AFQAM) ყოველწლიური ტრენინგ-კონფერენციაში, სადაც განხილულ იქნა ლაბორატორიების ხარისხის მართვისა და გაუმჯობესების საკითხები. კონფერენციაზე პრეზენტაციები წარადგინეს ისეთი საპატიო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და ფედერალური სამართალდამცავი ორგანოები, სტანდარტების და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტი (NIST), ასევე აკრედიტაციის ორგანოები, კერძოდ, ამერიკის ლაბორატორიების აკრედიტაციის ასოციაცია (A2LA) და (ANAB) ამერიკის ეროვნული აკრედიტაციის საბჭო;

- ❑ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), განვითარების ცენტრის (HICD) ტრენინგზე თემაზე - ხარისხის მართვის პროცესისა და ხარისხის მართვის სისტემის (QMS) მოდელირება;

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

დეპარტამენტთან უშუალო კოორდინაციით, მთელი წლის განმავლობაში ბიუროს ექსპერტები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში და შეხვედრებში. მათ შორის:

- ❑ ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსმა მონაწილეობა მიიღო (ENFSI)-ის დნმ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრაში;

- ❑ ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე დაესწრო ENFSI-ის ლაქ-საღებავების და მინების სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრას;

- ❑ ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) წევრებთან, სადაც განიხილეს სამედიცინო ანთროპოლოგიის, სამედიცინო არქეოლოგიის, საველე ფოტოგრაფიის და სხვა საკითხები;

- ❑ საქართველოში მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი განსახლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეფასებისა და კომპენსაციის საკითხების თაობაზე მათივე ორგანიზებულ ონლაინ კონსულტაციაში მონაწილეობა მიიღეს ბიუროს სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის ექსპერტებმა;

- ❑ ნავთობპროდუქტების ლაბორატორიის ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს „საქართველოს ლაბორატორიების ასოციაციის“ მიერ გამართულ EURACHEM-ის 2022 წლის გენერალურ ასამბლეასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სემინარში, თემაზე - „გაზომვებთან დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფის გამოწვევები საველე პირობებიდან ლაბორატორიამდე“.

EUROPEAN NETWORK OF FORENSIC SCIENCE INSTITUTES

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, ბიუროს მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის წევრი და სხვა ქვეყნების საექსპერტო დაწესებულებებთან თანამშრომლობა. 2022 წელს, არსებული და სამომავლო თანამშრომლობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დეპარტამენტმა არა ერთ ნიშვნელოვან **საერთაშორისო შეხვედრას და ვიზიტს გაუწია კოორდინაცია. მათ შორის:**

- **შვედეთი, ქ. სტოკჰოლმი** ბიუროს უფროსის, მამუკა ჯანგულაშვილის მონაწილეობა, სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) წევრი საექსპერტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიურ კონფერენციაში, სადაც განხილულ იქნა საკითხები სასამართლო ექსპერტიზის დარგის განვითარებისა და თანამედროვე გამოწვევების თაობაზე. შვედეთის ქ. სტოკჰოლმში

- **საფრანგეთი, ქ.ლიონი** ბიუროს უფროსის, მამუკა ჯანგულაშვილის ვიზიტი, კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (INTERPOL) მიერ ორგანიზებულ სასამართლო ექსპერტიზის მენეჯერების რიგით მე-20 სამეცნიერო სიმპოზიუმზე დასასწრებად, რომელიც ექსპერტიზის დარგში, გასული სამი წლის განმავლობაში არსებული სამეცნიერო მეთოდების და საგამოძიებო და მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევების მიმოხილვას და ურთიერთგამოცდილების გაზიარებას ისახავდა მიზნად.

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

- საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კელი დეგნანის ვიზიტი ბიუროში, ბიუროს საქმიანობის გაცნობის და საერთაშორისო ISO/IEC 17025:2018 სტანდარტის შესაბამისად აკრედიტირებული კრიმინალისტიკური და დნმ ლაბორატორიების დათვალიერების მიზნით.

- ბიუროს საქმიანობის, დანერგილი სიახლეების და ინოვაციების გაცნობის მიზნით, ილინოისის შტატის პოლიციის დირექტორის ბრენდან კელის და საქართველოში აშშ-ს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) წარმომადგენლების ვიზიტი ბიუროში.

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

- ბიუროს უფროსის მამუკა ჯანგულაშვილის შეხვედრა მშვიდობის კორპუსის (Peace Corps Georgia) დირექტორთან ჯეფრი გოვეიასთან და ამავე ორგანიზაციის სამედიცინო ორგანიზაციის სამედიცინო მიმართულების წარმომადგენლებთან ბიუროს საქმიანობის გაცნობის მიზნით;
- აშშ-ს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ხელმძღვანელის სარა რუპერტის, მრჩევლის სასამართლო ექსპერტიზის მიმართულებით ჯონ ვანდერლოკს, INL ვაშნიგტონის პროგრამის ოფიცრის ენ ბერგრენის და INL თბილისის სამართალდაცვით საკითხებში უფროს მრჩევლის ერიკ საივიკის გაცნობითი ხასიათის ვიზიტი ბიუროში;
- ბიუროს სქამიანობის და საექსპერტო სპეციფიკების გაზიარების მიზნით, სომხეთის რესპუბლიკის საექსპერტო ცენტრის დირექტორის დევიდ გულიანის და ამავე ცენტრის სხვადასხვა საექსპერტო მიმართულების ხელმძღვანელების ვიზიტი ბიუროში; შემუშავებული სიახლეების შესახებ.

ბიუროს უფროსმა, მამუკა ჯანგულაშვილმა, საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სიმპოზიუმი „უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა და უბედური შემთხვევების მსხვერპლთა დნმ-ით იდენტიფიკაცია“ გახსნა და მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით ისაუბრა ბიუროსა და წითელ ჯვარს შორის მრავალწლიანი ურთიერთთანამშრომლობის და ერთობლივად განხორციელებული წარმატებული პროექტების შესახებ;

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაიმართა ციფრული გამოძიების სპეციალური ლიცენზირებული პროგრამის და მასთან დაკავშირებული საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემის ცერემონიალი. აშშ-ს საელჩოს მიერ ბიუროსთვის და სამართალდამცავი უწყებებისთვის გადაცემული ტექნიკური აღჭურვილობა დაეხმარება ექსპერტებს, ეფექტურად წარმართონ პროფესიული საქმიანობა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ კიბერდანაშაულთან ბრძოლაში;

2022 წელს ბიუროსა და სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპულ ქსელთან (ENFSI) თანამშრომლობის საფუძველზე მნიშვნელოვანი პროექტი „Forencsic Wiki" განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ერთიანი ტერმინოლოგიის ბაზა სასამართლო ექსპერტიზის მიმართულებით.

ბაზის შექმნისთვის, დეპარტამენტმა უზრუნველყო საექსპერტო მიმართულებების (არაადამიანური ბიოლოგიური კვლევის ექსპერტიზის მოლეკულური მეთოდები, დაქტილოსკოპია, ციფრული ტექნოლოგიები, ადამიანისა და ცხოველის თმის ღერის მიკროსკოპული ექსპერტიზა და შედარება) ტერმინოლოგიის თარგმნა ინგლისურიდან ქართულ ენაზე, რომელიც ENFSI-ს მიერ შექმნილ „Forensic Wiki"-ს პორტალზე განთავსდა და მასზე არსებულ სხვა ენებთან დაკავშირდა.

დღევანდელი მონაცემებით, სასამართლო ექსპერტიზის ტერმინოლოგია „Forensic Wiki"-ზე ხელმისაწვდომია მხოლოდ 16 ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზე

ხარისხის კონტროლის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ბიურო წარმტებით განაგრძობს თანამშრომლობას

- საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან, ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს პროგრამა (INL) -თან;
- ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროსთან (GBI);
- სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოსთან (CEPOL);
- კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (INTERPOL);
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) და სხვა საერთაშორისო საექსპერტო დაწესებულებებთან;
- სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელთან (ENFSI), რომლის სრულუფლებიანი წევრია ბიურო 2011 წლიდან;
- 2021 წლიდან ბიურო „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ (IVSC) წევრია. აღნიშნულის საშუალებით ბიუროს წვდომა აქვს შეფასების უახლეს სტანდარტებთან, რაც დამკვეთისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სერვისის მიწოდების გარანტიაა.

- ბიუროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ურთიერთთანამშრომლობით, 2014 წლიდან დღემდე აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახებს 230 პირის ნეშტი გადაეცა.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2022 წელი კრიმინალისტიკის ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის საკმაოდ დატვირთული და შრომატევადი აღმოჩნდა. მთელი წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ შესრულდა 6668 ექსპერტიზა.



დეპარტამენტის გუნდს მიმდინარე წელს შემოუერთდა 6 ექსპერტი მათ შორის:

- ✓ ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველოში, ტრასოლოგიური და ბალისტიკური ექსპერტიზის მიმართულებით 3 ექსპერტი
- ✓ სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოში 1 ექსპერტი
- ✓ ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველოში, ფონოსკოპიური ექსპერტიზის მიმართულებით 2 ექსპერტი

ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 2-მა პირმა

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
გაახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

2022 წელს დეპარტამენტმა საექსპერტო კვლევებისთვის საჭირო არა ერთი ხელსაწყო-დანგარი შეიძინა. კერძოდ:

- სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის მიმართულებით

დიაგნოსტიკის აპარატი

ენდოსკოპის ტიპის ვიდეოკამერა

სანათი საშუალება

ხელსაწყო ინსტრუმენტების ნაკრები

პორტატული ელექტრონული კვების წყარო

ორტატული გამადიდებელი საშუალება, ცვლადი ლინზებით და მანათობლით

- ბიუროს და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის, თანახმად ბიუროს რადიაციული მიმართულების ექსპერტს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა ექნება კვლევითი პროცესი წარმართოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის ლაბორატორიაში, ადგილზე არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

- სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის საჭიროებიდან გამომდინარე, უცხო ენიდან ქართულზე ითარგმნა და დამუშავდა სპეციალური მეთოდური სახელმძღვანელო ლიტერატურა, რომლის გამოყენებაც აქტიურად ხდება ექსპერტთა მიერ წარმართულ საქმიანობაში.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- 2022 წელს ბიუროს და სადაზღვევო კომპანია „თიბისი“-ს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს, სარგებლობაში გადმოეცა კომპანია „ბოში“-ს მიერ წარმოებული მოწყობილობა “CDR”-ის კომპლექტი, რომელიც განკუთვნილია გარკვეული მარკა / მოდელის ავტო მანქნანების კომპიუტერში ასახული, საგზაო შემთხვევის მომენტის შესახებ არსებული ინფორმაციის ამოსაღებად და გასაშიფრად

- ბიუროს და კომპანია მაგთიკომს შორის შეთანხმების შედეგად, საბუთების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზის სამმართველო, ყველა შესაბამისი მოსამზადებელი პროცედურის გავლის შემდგომ, უზრუნველყოფს ხსენებული კომპანიის მიერ დანიშნული ელექტრონული ხელმოწერების ექსპერტიზის ჩატარებას. აღნიშნული სახის საექსპერტო მომსახურების მიღების თაობაზე დაინტერესება გამოთქვა კიდევ რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ, რომლებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება და პროცესის გასამართად აუცილებელი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები.

- საბუთების ტექნიკური ექსპერტიზის ლაბორატორიისთვის აგრეთვე შეძენილ იქნა ელექტრო სასწორი

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი

პროფესიული განვითარება

2022 წელს დეპარტამენტის ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს 5 საერთაშორისო და 1 უწყებათაშორისი საკვალიფიკაციო, პროფესიული ტესტირებაში და საუკეთესო შედეგები აჩვენეს.

კერძოდ :

- ✓ დაქტილოსკოპიის, ბალისტიკის, ტრასოლოგიის და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის მიმართულებით, საერთაშორისო დონეზე აღიარებული აშშ-ს კომპანია CTS -ის მიერ მოწოდებულ საკვალიფიკაციო ტესტირებაში;
- ✓ დაქტილოსკოპიური და ვიდეო -ჰაბიტოსკოპიური მიმართულებით ENFSI -ს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებაში;
- ✓ ხელწერის ექსპერტიზის მიმართულებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შესაბამისი დარგის ექსპერტებთან ერთად უწყებათაშორის ტესტირებაში. აგერეთვე, ENFSI მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო ტესტირებაში;

წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით, დაქტილოსკოპიის, ბალისტიკის, ტრასოლოგიის და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის მიმართულების ექსპერტებმა გაიარეს შიდა ლაბორატორიული ტრენინგი.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
2023 წლის გეგმა

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტში, საექსპერტო კვლევების და ლაბორატორიებში საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად, 2023 წელს იგეგმება:

- დეპარტამენტის მიერ საექსპერტო საქმიანობისთვის გამოკვეთილი საჭიროებების (მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები) მოძიება და შეძენა;

- ექსპერტთა უწყვეტი განათლების ფარგლებში, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მიმართულების საერთაშორისო ავტორიტეტის და გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და მათ მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო ტესტირებებში მონაწილეობა;

- ხარისხის კონტროლის მიმართულებით, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ დეპარტამენტის შესაბამისი ლაბორატორიების ყოველწლიური მონიტორინგი;

- ENFSI -ის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, თემატურ გამოფენებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მიმართულებით, მსოფლიოში მიმდინარე სიახლეების, ექსპერტიზის ინოვაციური მეთოდების და უახლესი ტექნიკური აღჭურვილობის გაცნობის მიზნით;

- მსოფლიოს წამყვან კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებთან თანმშრომლობა, დეპარტამენტის სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებისთვის სასწავლო გაცვლითი ვიზიტების განხორციელების მიზნით;

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2022 წლის განმავლობაში დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტურად და ხარისხიანად წარმართვის მიზნით, არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა.

მთელი წლის განმავლობაში, დეპარტამენტში სხვადასხვა საექსპერტო მიმართულებით აყვანილ იქნა 6 ექსპერტი.

სტაჟირება გაიარა ორმა პირმა, რომელთაგანაც ერთ-ერთმა საქმიანობა დეპარტამენტის გუნდში განაგრძო.

პროფესიული განვითარება

მთელი წლის განმავლობაში, დეპარტამენტის თანამშრომლებმა პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში

კერძოდ:

შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგსა და სემინარში:

- ✓ სასწავლო კურსში ბიზნესის შეფასების სფერო;
- ✓ სერთიფიცირებულ სემინარში ბიზნესის მიმართულებით:
  - უძრავი ქონების შეფასება
  - ბიზნესის შეფასება
  - მოძრავი ქონების შეფასება

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

წინა წლების მსგავსად დეპარტამენტის ექსპერტებმა განაახლეს ბიზნესის, უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებლის ISO/IEC 17024 სტანდარტის სერთიფიკატები;

ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სემინარებში და ტრენინგებში მონაწილეობა იგეგმება 2023 წელსაც.

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი 2021 წლიდან შეფასების დარგში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ (IVSC) წევრია. საბჭოსთან ურთიერთთანამშრომლობით, დეპარტამენტის ექსპერტებს შესაძლებლობა აქვთ მუდმივად გაეცნონ შეფასების კუთხით მსობლიოში მიმდინარე სიახლეებს, წვდომა ჰქონდეთ შეფასების კუთხით უახლეს სტანარტებთან, რისი მეშვეობითაც შესრულებული ექსპერტიზები მომხმარებლის მხრიდან სანდოობის აზრდის საწინდარია.

INTERNATIONAL VALUATION STANDARDS COUNCIL

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

მთელი წლის განმავლობაში სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპატამენტის მიერ 2021 გაიცა 19729 დასკვნა



კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი

2022 წლის განმავლობაში საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ საექსპერტო საქმიანობის განვითარების მიმართულებით არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა.

საკადრო უზრუნველყოფა

საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი, მისი სპეციფიკური საქმიანობიდან გამომდინარე, მუდმივად განიცდის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს. ამ მიზნით, დეპარტამენტში ყოველწლიურად ხორციელდება ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, მათთვის შესაბამისი ცოდნის გადაცემის და შემდგომ დასაქმების მიზნით

2022 წელს დეპარტამენტის სხვადასხვა საექსპერტო მიმართულებებზე სტაჟირება გაიარა ექვსმა პირმა, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაყვანილ იქნენ ფასიან სტაჟირებაზე. მათ შორის ორი პირი დასაქმდა სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ექსპერტიზის სამმართველოში ექსპერტად.

2022 წელს საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტმა წარმატებით გაიარა ყოველწლიური აკრედიტაცია და უმაღლესი შეფასება მიიღო

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი

მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლება

დეპარტამენტი მუდმივად ცდილობს სიახლეების დანერგვას საექსპერტო მიმართულებებით და დადგენილი სტანდარტის შესაბამისად ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაც.

2022 წელს დეპარტამენტის მიერ შეძენილ იქნა AUTLET EVO II RTK -ის გეოდეზიური ექსპერტიზისთვის საჭირო, სპეციალური პროგრამით აღჭურვილი დრონი.

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად დაკალიბრდა გამზომი საშუალებები. კერძოდ:

- მილიომმეტრი Vici VC480C+;
- მეგაომმეტრი UNI-T 501A;
- მულტიმეტრი PM8211;
- გიგა ომმეტრი BM 3549.

პანდემიით გამოწვეული პაუზის შემდეგ, დეპარტამენტის მიერ მოწვეულ იქნა იტალიელი ინჟინერი, რომელმაც დეტალური მონიტორინგი ჩაუტარა ლაბორატორიაში არსებულ ხელსაწყო - დანადგარებს და რეკომენდაციები გასცა საჭირო ნაწილების შეძენასთან დაკავშირებით.

ბიუროს მიერ საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტებისთვის შეძენილ იქნა ავტომობილები „mitsbishi L200 “ და ორი ერთეული „renault sandero“

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა

2022 წლის განმავლობაში, დეპარტამენტმა, წარმატებით გააგრძელა სამეცნიერო კვლევითი საქმინობა თიხაფიქლების თერმული დამუშავების გზით მაღალი ტექნოლოგიური და საექსპლუატაციო თვისებების მქონე, ეკოლოგიურად სუფთა, მსუბუქი ფოროვანი შემვსების-კერამზიტის მიღებაზე, რომელიც ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში სხვადასხვა მიზნებისათვის. აღნიშნულ სამეცნიერო კვლევაში დეპარტამენტის ექსპერტებთან ერთად მონაწილეობენ თბილიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერები.

2022 წელს მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დეპარტამენტის სერვის ცენტრის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ;
- სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებში;
- ბიუროში გადახდის საბილინგე სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

ბიუროს ექსპერტები ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თემატურ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენხიებში და შეხვედრებში.

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი

მთელი წლის განმავლობაში საინჟინრო დეპარტამენტის ექსპერტების მიერ გაიცა 3897 დასკვნა.





ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

მიმდინარე წლის განმავლობაში, ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტმა საექსპერტო საქმიანობის მიმართულებით, მრავალი მნიშვნელოვანი სიახლე დანერგა და განახორციელა. საექსპერტი ლაბორატორიებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებებში, ხოლო დეპარტამენტის ექსპერტებმა კონფერენციებში და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში.

2022 წელს დეპარტამენტში დანერგილი მეთოდები

დეპარტამენტის ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსოერტიზის მიმართულებით
ინდუქტიურ პლაზმასთან შეწყვილებულ ოპტიკურ - ემისიურ სპექტრომეტრზე (“ICP-OES”) დაინერგა შემდეგი არბიტრაჟული მეთოდები**:**

- შენადნობების ხარისხის დადგენის მეთოდი;
- მადნების ხარისხის დადგენის მეთოდი;
- სხვადასხვა მოხმარების საგნებში ტყვიის და მძიმე მეტალების ანალიზის მეთოდი;
- მინის ელემენტური შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდი;
- მანქანის კატალიზატორების ელემენტური შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდი და სხვა.

მიკროტალღური მინერალიზატორი **”ETHOS UP™“** შესაძლებელი გახდა ნებისმიერი მატრიცის მქონე ნიმუშის სწრაფი მინერალიზაცია;

დღეის მდგომარეობობით **ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსოერტიზის** ლაბორატორია ერთადერთი ლაბორატორიაა საქართველოში, რომელსაც ქსოვილების, ფეროსილიკომანგანუმის შენადნობების, მანგანუმის მადნების და კონცენტრატების კვლევევში გააჩნია შესაბამისი **„ISO 17025“** საერთაშორისო აკრედიტაცია.

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2022 წელს დეპარტამენტში დანერგილი მეთოდები

დეპარტამენტის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით ოპტიმიზირებული იქნა ბიოლოგიურ ობიექტებში (სისხლი, შარდი, შინაგანი ორგანოები) და საგანმატარებლებში ქრომატომასსპექტრომეტრული მეთოდებით ტოქსიკური, ნარკოტიკული ფსიქოტროპული, ახალი ფსიქოაქტიური და აქროლადი ნივთიერებების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზი.

ახალ შეძენილ აპარატზე მიმდინარეობს ტოქსიკური მძიმე მეტალების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის მეთოდის დამუშვება ბიოლოგიურ ობიექტებში

დეპარტამენტის კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის მიმართულებით დაინერგა ელექტრო სიგარეტებში და ელექტრო სიგარეტისთვის განკუთვნილ სითხეებში ნიკოტინის შემცველობის განსაზღვრა გაზურ-ქრომატოგრაფიული მეთოდით;

აეწყო რძესა და რძის პროდუქტებში მცენარეული წარმოშობის ფიტოსტეროლების აღმოჩენის ქრომატოგრაფიული მეთოდი

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

საკვალიფიკაციო ტესტირებებში მონაწილეობა

- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა ENFSI –ის მიერ ორგანიზებული საკვალიფიკაციო ტესტირება **უცნობი შემადგენლობის ფხვნილებში ნარკოტიკული ნივთიერებების თვისებრივ-რაოდენობრივი ანალიზი**

- ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორია მონაწილეობდა **ნიდერლანდების ლაბორატორიათაშორის კვლევათა ინსტიტუტის (IIS) ლაბორატორითშორის ტესტირებაში უცნობ ნიმუშში 18 ფიზიკო-ქიმიური პარამეტრის განსაზღვრა** ICP-OES მეთოდით - შედეგები გამოქვეყნდება 2023 წელს
- 2022 წლის სექტემბრის თვეში, ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორიამ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ 2 ლაბორატორიათაშორის შედარებაში საავიაციო ზეთის ნიმუშებზე, მიღებული შედეგები დადებითია.

მიმდინარე წლის მაისის თვეში ნავთობპოდუქტების ლაბორატორიამ წარმატების გაიარა ხარისხის კონტროლის გეგმიური ინსპექტირება „ISO 17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი
განახლებული ინფრასტრუქტურა

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის
წინაშე არსებული გამოწვევების და დამკვეთის მოთხოვნების
შესაბამისად დეპარტამენტმა სხვადასხვა საექსპერტო ხელსაწყოები
შეიძინა. კერძოდ:

ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის ლაბორატორიებისთვის

- ❖ ახალი მიკროტალღური მინერალიზატორი ”ETHOS UP™
- ❖ შესადარებელი და ორი სტერეო მიკროსკოპი “Leica”.
- ❖ ინდუქტიურ პლაზმასთან შეწყვილებულ ოპტიკურ - ემისიურ სპექტრომეტრi (“ICP-OES”)
- ❖ ინფრაწითელი სპექტრომეტრი- FT-IR

დაინსტალირდა 2021 წლის დეკემრის თვეში შეძენილი ახალი
ინფრაწითელი სპექტრომეტრი და დაინსტალირდა ინდუქტიურ
პლაზმასთან შეწყვილებული ოპტიკურ - ემისიურ სპექტრომეტრი (“ICP-OES”), აეწყო ახალი მეთოდები;

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი
განახლებული ინფრასტრუქტურა

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიისთვის

- გაზური ქრომატორგრაფი ალურიონიზაციური დეტექტირებით და ჰედსპეისით (Agilent 8890 CG with 7697A HS) - ბიოლოგიურ ობიექტებში სპირტების (ეთილის, მეთილის, პროპილის, იზოპროპილის და აცეტონის) ანალიზატორი ;

- გაზური ქრომატოგრაფი ტანდემური მასსპექტრომეტრით და ჰედსპეისით (Thermo Fisher Scientific TSQ 9000 triple quad) ბიოლოგიურ ობიექტებში და სხვა საგანმატარებლებში ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ახალი ფსიქოაქტიური, ქლორ-და ფოსფორორგანული შხამქიმიკატების, აქროლადი ტოქსიკური ნივთიერებების კვლევისათვის

2022 წელს დეპარტამენტის მიერ გაიცა 21043 დასკვნა



ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

სამომავლო გეგმები

2022 წლის მსგავსად, დეპარტამენტი 2023 წელსაც მნიშვნელოვან სიახლეებს შესთავაზებს მომხმარებელს. კვლავ გაგრძელდება მუშაობა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. დეპარტამენტი აქტიურად მიიღებს მონაწილეობას როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ საკვალიფიკაციო ტესტირებებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში და სხვა;

2023 წელს ასევე იგეგმება:

ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის ლაბორატორიებისთვის

- სპეციალური სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპის **„SEM-EDX“**-ის შეძენა, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სროლის პროდუქტების სრული ანალიზის ჩასატარებლად **დღეის მდგომარეობით აღნიშნული ექსპერტიზა საქართველოში არ ტარდება;**
- სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპის შეძენა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ნებისმიერი სახის მიკრონაწილაკის სრული მორფოლოგიური და ელემენტური შემადგენლობის დადგენა. **აღნიშნული ექსპერტიზა ჯერჯერობით საქართველოში არ ტარდება;**

ქიმიურ - ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიებში

- ევროპის ანალოგიური ლაბორატორიებში ბიოლოგიურ ობიექტებში ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, აქროლადი ტოქსიკური ნივთიერებების და მძიმე მეტალების კვლევის ინსტრუმენტალური ანალიზის მეთოდების გაცნობა;
- გარდაცვლილი პირების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექპერტიზის კვლევებში, აშშ-ის და ევროპის წამყვანი დაწესებულებების გამოცდილების გათვალისწინება ქიმიური ანალიზის და შედეგების ინტერპრეტაციის კუთხით
- ბიოლოგიურ ობიექტებში (სისხლი, შარდი) და საგანმატარებელში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების, “საკლუბო ნარკოტიკების“ და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების და მათი მეტაბოლიტების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების **(GC-MS, GC-MS/MS, LC-MS/MS)** ოპტიმიზაცია

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი
სამომავლო გეგმები

კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის მიმართულებით

LC-MS ხელსაწყოს შეძენა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება საკვებ პროდუქტებში:

- საკვებ პროდუქტებში საღებავების ფართო სპექტრის ანალიზი
- საკვებ პროდუქტებში ანტიბიოტიკების ანალიზი
- საკვებ პროდუქტებში საკვები დანამატების ანალიზი

ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის მიმართულებით

- ზეთების სისუფთავის კლასის განმსაზღვრელი ხელსაწყოს შეძენა, ნამუშევარი ზეთების საკვლევად;
- წვეთვარდნის განსასაზღვრი ხელსაწყო ასტმდ 2265 მიხედვით;
- რეაკრედიტაცია ISO 17025:2017/2018 სტანდარტით მოქნილი სფეროს მიხედვით;

ნარკოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით

განახლდება პანდემიის შედეგად დროებით შეჩერებული ამონასუთქი ჰაერით ალკოჰოლური თრობის დადგენის ექსპერტიზა

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

ბიუროს საექსპერტო მიმართულებებს შორის, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ქვეყნის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. წინა წლების მსგავსად, 2022 წელსაც დეპარტამენტმა იმუშავა არა ერთ გახმაურებელ სისხლის სამართლის საქმეზე და განხორციელებული ექსპერტიზების შედეგად ხელი შეუწყო საგამოძიებო უწყებებს დროული და სამართლიანი განაჩენის გამოტანაში.

მიმდინარე წელს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ შესრულდა **12777** დასკვნა.



2022 წლის განმავლობაში, კვლავ გაგრძელდა აქტიური კონსულტაციები საერთაშორისო პარტნიორებთან, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის, სამედიცინო ექსპერტებისთვის უმაღლესი პროფესიული ორგანიზაცია **(NAME)** -ში გაწევრიანების მიზნით.

აღნიშნულ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად, ბიუროს განსაკუთრებულ დახმარებას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და საამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის პროგრამა (INL).

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

ახალგაზრდა კადრების გადამზადება და დასაქმება

წინა წლების მსგავსად დეპარტამენტის ექპერტებმა 2022 წელსაც არა ერთ ახალგაზრდა კოლეგას გაუზიარეს პროფესიული ცოდნა და გამოცდილება.
ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში
დეპარტამენტის ბაზაზე სტაჟირება გაიარეს

- შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიან კლინიკური საავადმყოფოს“,„ზოგადი ქირურგიის“ და „სისხლძარღვთა ქირურგიის“ პროგრამის **რეზიდენტებმა**
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **რეზიდენტებმა**
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **სტუდენტებმა**

თანამშრომლების პროფესიული განვითარება

2022 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ექსპერტებმა და თანამშრომლებმა არა ერთ ტრენინგში და სემინარში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის:

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზებით

- სემინარში თემაზე „ თეორიული და პრაქტიკული არქეოლოგიური პროცესი“;
- სემინარში თემაზე „შერეული ადამიანის ნარჩენების დახარისხების მეთოდოლოგიები”;
- სემინარი თემაზე „სასამართლო ოდონტოლოგია”.

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

- გაეროს და სახალხო დამცველის ერთობლივი ონლაინ ტრენინგში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგში სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებში;
- ტრენინგი ბიუროში საექსპერტო მომსახურების გადახდის ახალი საბილინგე სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

საკადრო უზრუნველყოფა, კადრების კარიერული წინსვლა

მიმდინარე წელს დეპარტამენტის გუნდს შეუერთდა ოთხი თანამშრომელი. მათ შორის:

- ცოცხალ პირთა და გვამების გამოკვლევათა სამმართველოში- ერთი სანიტარი.
- ჰისტოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოში - ერთი ლაბორანტი
- საქმის წარმოების განყოფილებაში - ერთი სპეციალისტი
- ერთი მძღოლი

დეპარტამენტში თანამშრომლების კარიერული ზრდის ფარგლებში

- დეპარტამენტის ცოცხალ პირთა და გვამების გამოკვლევათა სამმართველოს ექსპერტის პოზიციაზე დაწინაურდა ორი თანამშრომელი

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

აფხაზეთში და სამაჩაბლოში უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა იდენტიფიცირების პროცესში მონაწილეობა

2022 წელს დეპარტამენტი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად კვლავ აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა იდენტიფიცირების პროცესში. მთელი წლის განმავლობაში 11 გმირის ნეშტი დაუბრუნდა ოჯახებს.

დეპარტამენტი ასევე აქტიურად არის ჩართული წითელი ჯვრის მიერ რეკომენდირებულ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროგრამის ტრანსფორმაციის პროცესში

2023 წლისთვის სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი გეგმავს

- კახეთის რეგიონული განყოფილების სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულებას და აღჭურვას სტანდარტის შესაბამისი აპარატურით;
- გვამის გამოკვლევის წესებისა და მეთოდების განახლებას საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;
- მიკრომორფოლოგიური (ჰისტოლოგიური) კვლევის ახალი მეთოდების დანერგვას;

კვლავ აქტიურად გაგრძელდება თანამშომლობა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის პროგრამა (INL).

იგეგმება დეპარტამენტის ექსპერტების მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში და პროფილურ ტრენინგებში.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2022 წლის განმავლობაში ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტების მიერ მომზადდა 1762 დასკნა, როგორც სახელმწიფო ისე კერძო პირების აკვეთის შესაბამისად.



კარიერული განვითარება და დასაქმება

წინა წლების მსგავსად დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული საქართველოს მთავრობის დადგენილების "საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ პროგრამაში, რის საფუძველზეც 2022 წელს დეპარტამენტში სტაჟირება გაიარა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორმა სტუდენტმა. წარმატებული სტაჟირების გავლის შემდეგ ორივე სტუდენტი გადავიდა დეპარტამენტის თანამშრომელი ლაბორანტის პოზიციაზე.

შიდა პროფესიული და კარიერული განვითარების და ზრდის მიზნით დეპარტამენტის ერთი თანამშრომელი (ლაბორანტი) დაწინაურდა და გახდა ექსპერტი.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

ექსპერტების მონაწილეობა საერთაშორისო ტესტირებებში, კონფერენციებში და ტრენინგებში

2022 წელის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. დეპარტამენტის ექსპერტებმა მთელი წლის მანძილზე არა ერთ კონფერენციაში, სემინარსა თუ ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის:

- 2022 წლის 27 სექტემბერს, ლისაბონში, პორტუგალიის პოლიციის საექსპერტო ლაბორატორიის ორგანიზებით, გამართულ დნმ-ის მონაცემთა ბაზების, CODIS ევროპის მომხმარებელთა რიგით მე-16 კონფერენციაში;

- 2022 წლის 3 მაისს, ნიდერლანდების ექსპერტიზის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართულ ევროპის საექსპერტო დაწესებულებათა ქსელის ENFSI დნმ-ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის ონლაინ შეხვედრაში.

- 2022 წლის 28-30 სექტემბერს, ლისაბონში, პორტუგალიის ეროვნული კრიმინალური პოლიციის საგამოძიებო სააგენტოს საექსპერტო ლაბორატორიის ორგანიზებით, გამართულ ENFSI დნმ-ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ, რიგით 48-ე შეხვედრაში.

ქალაქ ვენაში, ავსტრიაში და ასევე ონლაინ, 2022 წლის 11-14 ივნისს, ადამიანის გენეტიკის ევროპის ასოციაციის მიერ, (ESHG) გამართულ ევროპის ადამიანის გენეტიკის ჰიბრიდული 55-ე კონფერენციაში, რომელზეც დეპარტამენტის გენეტიკოსთა გუნდმა წარადგინა მოხსენება, “New Genetic Variants and Inherited Thrombophilia in Georgia Population”, ბიუროში ბოლო დროს დანერგილი უახლესი სამედიცინო გენეტიკური კვლევების შედეგებით.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

ექსპერტების მონაწილეობა საერთაშორისო ტესტირებებში, კონფერენციებში და ტრენინგებში

- 2022 წლის 31 ოქტომბერს-4 ნოემბერს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ორგანიზებით და მხარდაჭერით, თბილისში, გამართულ პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმში„DNA Supported Missing Person and Disaster Victim Identification“

- საერთაშორისო მულტიდისციპლინური სკოლის (International Multidisciplinary School) ორგანიზებით, თბილისში, 2022 წლის 9-11 ივნისს გამართულ ბიომედიცინის შესახებ კონფერენციში, თემაზე:“Researchers and Scientists Against War“, რომელზეც დეპარტამენტის მიერ წარდგენილი იქნა ორი მოხსენება, მემკვიდრულ თრომბოფილიაზე და პესონალიზებულ მედიცინაში გენეტიკური კვლევების მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე.

- 2022 წლის 26 აპრილს უკრაინის იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრაში : „Forensics and Expert Activity: The Challenges of War“, სადაც დეპარტამენტმა წარადგინა მოხსენება ადამიანის ნეშტების იდენტიფიკაციის გამოცდილების შესახებ.



- 12-14 ივლისს, ბიუროში, ახალი თაობის რეაქტივების შესახებ გამართულ პრეზენტაცია/ტრენინგს, როელსაც უძღვებოდა რეაქტივების ცნობილი მწარმოებლის-QIAGEN ევროპელი წარმომადგენელი. ტრენინგზე ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის თანამშრომლები გაეცნენ Investigator®26plex QS და Investigator®Argus Y-28 QS ნაკრებების შესაძლებლობებს და მათი გამოყენების მეთოდებს გენეტიკურ ექსპერტიზაში.



ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

ექსპერტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და ტრენინგებში

2022 წლის 8 აპრილს, ბიუროსა და ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ორგანიზებით, სტუ-ის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი "100 საჯარო ლექციის" ციკლის ფარგლებში, ონლაინ შეხვედრა გაიმართა სტუდენტებთან. თემატური პრეზენტაციით- „გენეტიკური (დნმ) ექსპერტიზა“



კვლევის ახალი მეთოდი

2022 წლიდან ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპატამენტი სამედიცინო სერვისის მომხმარებელს და კონტრაქტორ კლინიკებს (ავერსის, ჩაჩავას, ბოხუას სახელობის და ფერტიმედის) სთავაზობს მემკვიდრულ თრომბოფილიაზე პასუხისმგებელი Factor V Leiden, G1691A/R506Q, Factor V R2, H1299R, Prothrombin/Factor II, G20210A, MTHFR-C677T, MTHFR-A1298C მუტაციებისა და Plasminogen Activator Inhibitor 1 (PAI-1/ SERPINE1) 4G/5G პოლიმორფიზმის კვლევას, ახალი, მაღალტექნოლოგიური PCR-ით და გენეტიკური ანალიზატორის გამოყენებით.

არსებული სამი მუტაციის კვლევის ნაცვლად, პირველად საქართველოში, შესაძლებელი გახდა, ბიუროში სისხლის ერთი ნიმუშიდან, ექვსი მუტაციის ერთდროული დადგენა.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

აფხაზეთისა და ცხინვალის საომარი მოქმედებების დროს უგზოუკვლოდ დაკარგულთა იდენტიფიკაცია

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, 2022 წელს, **აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს დროს უგზოუკვლოდ** დაკარგულთა ოჯახის წევრების **65 ნიმუში იქნა გენოტიპირებული და გაფართოვებული კვლევით, დამატებით 41, სულ 106 ნიმუში.**

ამავე პროექტის ფარგლებში, ბიუროს საცავში დაარქივდა 1037 მეტი ბიოლოგიური ნიმუში.

ICRC

COMITÉ INTERNATIONAL GENÈVE

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი

2022 წელს კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტმა საექსპერტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა. კერძოდ:

- ✓ ვიდეო ჩამწერი მოწყობილობებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა - **DME Forensics DVR Examiner**;
- ✓ მობილური ტელეფონებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა (Cellebrite UFED 4PC);
- ✓ ძირითადი სასერვერო ინფრასტრუქტურის განახლება / გარანტიის გაზრდა;
- ✓ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და FIMS პროგრამების განახლება;
- ✓ **იურიდიული პირებისათვის, თბილისის მერიის და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოებისათვის** შემუშავებული პროგრამის განახლება;
- ✓ გადახდების სისტემის შემუშავება POS ტერმინალების საშუალებით;
- ✓ ახალი პროგრამული უზრუნველყოფა ნარკოლოგიური ცნობებისათვის;

- ✓ **კომერციულ საგადახდო** წყაროებთან ახალი **საბილინგე** სისტემის შემუშავება;
- ✓ **სახელმწიფო სექტორთან** ახალი **საბილინგე** სისტემის შემუშავება
- ✓ ახალი **საბილინგე** სისტემის მიბმა FIMS სისტემასთან
- ✓ CODIS სრული განახლება

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი

- ✓ შემოჭრის პრევენციის სისტემის (IPS - Intrusion Prevention System) განახლება/დანერგვა;
- ✓ არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება და ოპტიმიზაცია;
- ✓ უსაფრთხოების სისტემის შეძენა/დანერგვა გარე სერვისების და მომხმარებლების აგრეგაციისათვის;
- ✓ უსაფრთხოების სისტემის შეძენა/დანერგვა შიდა სერვისების სეგმენტისათვის
- ✓ საექსპერტო ინფორმაციული მენეჯმენტ პროგრამის (FIMS/eDOC) ფუნქციონალის გაფართოება;
- ✓ ახალი საჭირო სისტემების/სერვისების დანერგვა.

დეპარტემენტს საჩუქრად გადაეცა

ციფრული მატარებლებიდან ინფორმაციის ამოღება/აღდგენისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა (**Magnet Forensics AXIOM**)

ციფრულ მტკიცებულებებთან სამუშაო მოწყობილობების და ინსტრუმენტების ნაკრები.

მიმდინარე წელს შეძენილ იქნა

Cellebrite PREMIUM ES

MAGNET FORENSICS®

Cellebrite UFED

მთელი წლის განმავლობაში დეპარტამენტი ასევე აქტიურად ახორციელებდა ბიუროს თანამშრომელთა ტექნოლოგიურ მხარდაჭერას;

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი



2023 წელს დეპარტამენტში იგეგმება

- ❑ არსებული პროგრამული უზრუნველყოფების ლიცენზიების განახლება;
- ❑ დაზიანებული მყარი დისკების შეკეთებისათვის საჭირო ჰაერის გამწოვ-გამწმენდი (Air Cleaner), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მყარ დისკთან მუშაობა მტვრის ნაწილაკებისგან განთავისუფლებულ გარემოში, რათა აცილებულ იქნას მათი დაზიანება;
- ❑ ციფრული მატარებლებიდან ინფორმაციის ამოღება/აღდგენისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა (**X-Ways**);
- ❑ უსაფრთხოების კოდით ან გრაფიკული უსაფრთხოების კოდით დაშიფრული მობილური ტელეფონების მეხსიერებაში შეღწევისათვის განკუთვნილი მოწყობილობა (**Octoplus Box**);
- ❑ მობილური ტელეფონებიდან ინფორმაციის ამოღება პირდაპირ მეხსიერების ჩიპიდან (**Cellebrite or XRY Chip Off**).

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი

- სარეზერვო მონაცემთა ცენტრის მოწყობა TR2 სტანდარტის შესაბამისად სარეზერვო სისტემის დანერგვა
- ქსელური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სისტემის (SolarWinds) დანერგვა
- სასერვერო ინფრასტრუქტურის გაგრილების და კვების სისტემების მხარდაჭერა
- სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება/გაძლიერებ
- არსებული სისტემების განახლება



ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტი

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ, მთელი წლის განმავლობაში გაიცა 2020 დასკვნა



მთელი წლის განმავლობაში ექსპერტები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა თემატურ კონფერენციებში და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში.

ასევე ფსიქიატრიული ექსპერტიზების მიმართულებით გამოცდილებას უზიარებდნენ საზოგადოებას სხვადასხვა საინფორმაციო არხების საშუალებით;

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი

2022 წელს, შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ბიუროს სამსახურების გამართულად და წარმატებულად საქმიანობის მონიტორინგის მიზნით, სხვადასხვა სახის ღონისძიებები განახორციელა. მათ შორის, შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტის 2022 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით:

- შემოწმდა შესყიდვის პროცედურების განხორციელების, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სისწორის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;

- განხორციელდა ბიუროს დებიტორ - კრედიტორების კონტროლის აუდიტი.

- შემოწმდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს 2021 წლის მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილი ფინანსური ანგარიშგების, ფინანსური აუდიტის შიდა აუდიტორული ანგარიში

- 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით ცხელ ხაზზე სულ შემოვიდა **29704 ზარი**

  - 988 ზარზე გამოიკვეთა დარღვევა, რომელზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება;
  - 28 7176 პირს გაეწია კონსულტაცია.
  - დეპარტამენტში შემოვიდა 139 საჩივარ-განცხადება რომელიც განიხილა დეპარტამენტმა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი

მიმდინარე წელს დეპარტემენტის მიერ კვლავ ხორციელდებოდა თანამშრომლების გადამოწმება დროებით განთავისუფლების და ექსპერტების გასვლითი სამუშაოს შესრულებისას.

ასევე პერმანენტულად მიმდინარეობდა ბიუროს კუთვნილი ავტომობილების ავტომობილების სიჩქარის და გადაადგილების მონიტორინგი

ტურნიკეტის პროგრამის საშუალებით, ბიუროს შინაგანაწესის შესაბამისად, ხორციელდება ბიუროს თანamშრომლების სამსახურში დროულად გამოცხადების, სამსახურში ყოფნისა და სამსახურიდან წასვლის მონიტორინგი .

მთელი წლის განმავლობაში, ბიუროს თანამშრომელთა მხრიდან გამოვლენილ იქნა დისციპლინური გადაცდომის **11** შემთხვევა

მათ შორის საყვედური გამოეცხადა 6 თანამშრომელს, გაფრთხილება 3 თანამშრომელს, მოკვლევის შედეგად გათავისუფლდა ერთი თანამშრომელი;

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი

დეპარტამენტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი 2023 წლის განმავლობაში გემავს:

ადმინისტრაციულ დეპარტამენტში

- ბიურო-ს ძირითადი აქტივების აღრიცხვის და მართვის აუდიტს.

ეკონომიკურ დეპარტამენტში

- ბიუროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილი 2022 წლის მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილი ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას;

- 2022 წელს შესყიდვის პროცედურების განხორციელების, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სისწორის და წლიური გეგმის შემოწმებას.

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

2022 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტმა მომხმარებლისთვის თანამედროვე სტანდარტის შესაფერისი მომსახურებისთვის და საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა.

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

- ❑ მოქალაქეთა მისაღებ სივრცეში, დაიდგა რიგის ნომრის აპარატი, რის შედეგადაც მომხმარებლის მომსახურება ბევრად უფრო ორგანიზებული და ოპერატიული გახდა;

- ❑ დამონტაჟდა საქართველოს ბანკის სპეციალური აპარატი, რომლის მეშვეობითაც ავტომატურად ხდება ფიქსირებული ტარიფების ჩამოჭრა;

- ❑ დეპარტამენტის სერვის ცენტრის თანამშრომლებმა გაიარეს გაეროს და სახალხო დამცველის ერთობლივი ონლაინ ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ;

- ❑ დეპარტამენტის სერვის ცენტრის თანამშრომლებმა გაიარეს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგი სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებში;

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით

„ა“ და „ბ“ ბლოკში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, განახლდა ავეჯი, რის საფუძველზეც სამუშაო და მომსახურების სივრცე გახდა კომფორტული და სასიამოვნო.

კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეთა მომსახურების სივრცეში დამატებით განთავსდა შშმ პირთა სარგებლობისათვის განკუთვნილი სველი წერტილი.

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილებაში

სასაქონლო ექსპერტიზის მიმართულებით

2022 წელს

- სასაქონლო ჯგუფის (უძრავი-მოძრავი ქონების შეფასება) ექსპერტების საქმიანობის ეფექტური ორგანიზების მიზნით, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე, ერთ ექსპერტს მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილება;
- უძრავი-მოძრავი ქონების მიმართულებით გადამზადდნენ ქონების ინსპექტორები და დაინიშნენ სასაქონლო განყოფილების ექსპერტებად;
- გადამზადდა ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების შემოწმება/შეფასების მიმართულების ექსპერტი;
- კვალიფიციური კადრების შერჩევისა და გადამზადების მიზნით, სასაქონლო განყოფილებაში კონკურსის წესით შეირჩა და დაინიშნა 2 სტაჟიორი

2023 წლისთვის იგეგმება

- შეფასების დასკვნების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, იქმნება ქონების შემფასებელთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამომავლოდ განსაზღვრავს შეფასების ერთიან წესებს ბიუროს სერთიფიცირებული ექსპერტებისათვის.
- მოძრავი ქონების (ავტომობილები) შეფასებისას, ექსპერტიზის პროცედურების გამარტივება, კერძოდ დისტანციური მომსახურების პლატფორმის შექმნა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ექსპერტიზის დანიშვნა, საიტზე საჭირო დოკუმენტების ატვირთვა და საექსპერტო მომსახურების საფასურის გადახდა. აღნიშნული სიახლე დაზოგავს მომხმარებელთა დროს და კომფორტულს გახდის დისტანციურ მომსახურებას.

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილებაში

საინჟინრო ექსპერტიზის მიმართულებით

2022 წელს

- დაემატა 2 ექსპერტი რის შედეგადაც, დეპარტამენტში უკვე ტარდება ისეთი სახის ექსპერტიზები, როგორიცაა:
  - შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა;
  - წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების მიხედვით;
  - რეგისტრირებული ფართების გაყოფა-გაერთიანება;
  - აზომვითი ნახაზების შედგენა;
  - წილის გაყოფა;
  - კერძო საკუთრებაში გადაფარვის შემოჭრის დადგენა;
  - სამშენებლო სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა და პროექტის ექსპერტიზა.

2023 წელს იგეგმება

შესაბამისი კვალიპიკაციის ექსპერტების მოძიება დასაქმების მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სახის ექსპერტიზების განხორციელებას როგორიცაა:

- ტაქეომეტრით მუშაობა;
- შენობა - ნაგებობების აღდგენა-გაძლიერების, რეკონსტრუქციისა და რემონტის ხართაღრიცხვების შედგენა;
- შენობა - ნაგებობების აღდგენა-გაძლიერების, რეკონსტრუქციისა და რემონტის პროექტის (კონსტრუქციული ნაწილი) შედგენა;
- შენობა - ნაგებობებისა და სხვა კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობისა და მდგრადობის დადგენა;
- საშენი მასალების სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლებისა, ხარისხისა და ნორმებთან და მოთხოვნებათან მათი შესაბამისობის დადგენა;
- ელექტროობასთან დაკავშირებული საკითხები

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

სამედიცინო და ჰისტოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით

2022 წელს

- საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად ჩამოყალიბდა ოთხ ცვლიანი სამუშაო გრაფიკი და დაინიშნა ერთი სანიტარი.

- **ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის, სქესობრივი ხასიათის ქმედებების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსაზღვრული ნორმების დაცვის მიზნით, დაინიშნა ერთი მდედრობითი ექსპერტი**.

2023 წელს იგეგმება

კანონმდებლობის შესაბამისად, არასრულწლოვანთა შემთხვევაში სავალდებულოდ, ხოლო სრულწლოვანი ქალის შემთხვევაში გამოსაკვლევი პირის მოთხოვნის შესაბამისად, იდენტური სქესის ექსპერტის გამოყოფის მიზნით, კიდევ ერთი მდედრობითი ექსპერტის დანიშვნა. კადრების სიმცირის გამო ამ ეტაპზე საჭირო ხდება გამოსაკვლევი პირის თბილისში გადაყვანა.

ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით

2022 წელს

- ამბულატორიულ სასამართლო - ფსიქიატრიულ განყოფილებაში დაინიშნა ერთი თანამშრომელი (ფსიქოლოგი)

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

მთელი წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ გაიცა **10007** ექსპერტიზა.



დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტმანეტის განყოფილებების აქტიური და შეუფერხებელი საქმიანობის შედეგად, 2022 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ შესრულდა 13850 დასკვნა, მათ შორის:

- სასაქონლო და ფინანსური;
- სამედიცინო;
- ფსიქიატრიული;
- ქიმიურ-ნარკოლოგიური;
- საინჟინრო;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური;
- ბიოლოგიური და სხვა.



დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

საკადრო უზრუნველყოფა

2022 წელს დასავლეთ საქართელოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში, საინჟინრო ექსპერტიზის მიმართულებით, მომსახურების დროულად გაწევისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით დასაქმდა ორი ექსპერტი.

კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანთა შემთხვევაში სავალდებულოდ, ხოლო ზრდასრულ ქალბატონთა შემთხვევაში, გამოსაკვლევი პირის სურვილის შესაბამისად, გამოკვლევის ჩატარებას იდენტური სქესის ექსპერტის მიერ, სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში დასაქმდა ერთი ქალი ექსპერტი, რომელიც გადამზადებულია ძალადობის მსხვერპლ ქალებთან კომუნიკაციის მიმართულებით.

აღნიშნულ განყოფილებაში ასევე დასაქმდა ერთი სანიტარი.

თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება

2022 წელი სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის ტრენინგების კუთხით ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თანამშრომლებმა გაიარეს შემდეგი კურსები:

- გაეროს და სახალხო დამცველის ერთობლივი ონლაინ ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ;
- ფინანსთა სამინისტროს აკადამიის ტრენინგი სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებში;
- ტრენინგი ბიუროში საექსპერტო მომსახურების გადახდის ახალი საბილინგე სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

სამომავლო გეგმები

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი 2023 წლის განმავლობაში აქტიურად იქნება ჩართული საექსპერტო მიმართულებების განვითარების პროცესში.

ასევე იგეგმება საექპერტო საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლება და განვითარება.

ექსპერტთა და თანამშომელთა პროფესიული განვითარებისთვის დეპარტამენტი გეგმავს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ტრენინგებში და კონფერენციებში მონაწილეობას.

ახალგაზრდა კადრების მოძიების მიზნით, დეპარტამენტში კვლავ აქტიურად გაგრძელდება სტაჟირების პროგრამა.

საექსპერტო საქმიანობის საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობის მიზნით, სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან და სტუდენტებთან იგეგმება თემატური შეხვედრების გამართვა.